

# სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მომზადებულია სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის  
დაგეგმვისა და კონტროლის სამსახურის მიერ

2015 წლის II  
კვარტლის ანგარიში

## სარჩევი

სააგენტოს საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა .....	4
სააგენტოს მისია .....	4
სტრატეგიული ამოცანები.....	4
სტრატეგიული ამოცანები, რომელთა გადაჭრაზეც, სააგენტოს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს 2015 წელს: .....	5
ამოცანა N1. გაყიდვების პროაქტიულობის გაზრდა და სარგებლის მაქსიმიზაცია/ინტერესთა გამოხატვის მიმართულების განვითარება .....	6
• პრივატიზების პროცესი.....	6
• სახელმწიფო ქონების განკარგვისა და პრივატიზების შედეგად შემოსული თანხების შესახებ ინფორმაცია.....	8
• გაყიდვების სტიმულირება .....	8
ამოცანა N2. აღურიცხავი ქონების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და მდგომარეობის პირველადი მონიტორინგი .....	10
• სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის პროექტი.....	10
• სახელმწიფო ქონების დაცვა .....	12
ამოცანა N3. მომსახურების ხარისხისა და სერვისის განვითარება.....	13
• საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების ცენტრი.....	13
• მომსახურების ცენტრები .....	13
• სააგენტოს ვებ-გვერდი.....	15
• მედია მონიტორინგი.....	16
• მომსახურების ხარისხის შეფასება .....	16
• პროცესების დოკუმენტირება.....	17
• სააგენტოს სერვისების დელეგირება იუსტიციის სახლებში.....	18
• სააგენტოს ვებ-პორტალი .....	18
• უწყებათაშორისი კომუნიკაციის გაუმჯობესებისათვის გატარებული ღონისძიებები.....	19
• მომსახურების ხარისხის მართვის ჯგუფი.....	20
• ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის უზრუნველყოფა .....	20
ამოცანა N4. საწარმოებიდან სარგებლის მაქსიმიზაცია (რაოდენობის ოპტიმიზაცია, ღირებულების შენარჩუნება, მომგებიანობის გაზრდა) .....	21

- კოორდინაციის გაუმჯობესება სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებაში და კონტროლის მექანიზმის სრულყოფა ..... 21
- ოპტიმიზაცია-მინიმიზაციის პროცესის მიმდინარეობა..... 22
- სააგენტოს ვალდებულებები ეროვნული ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე..... 23

ამოცანა N5. პრივატიზებულ/გადაცემულ ქონებაზე შეუსრულებელი ვალდებულებების გამოვლენის და რეაგირების სისტემის განვითარება ..... 25

- შეუსრულებელი ვალდებულებების გამოვლენა და რეაგირება ..... 25

ამოცანა N6. ქონების ფლობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება ..... 26

- ზედდების საკითხების განმხილველი კომისიის საქმიანობა..... 26
- სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვა ..... 26
- სახელმწიფო ქონების დაბრუნება ..... 28

სააგენტოში მიმდინარე პროექტები ..... 29


- სააგენტოს მონაწილეობა სამთავრობო პროგრამაში - „აწარმოე საქართველოში.“ ..... 29
- პროექტი „სოფლიდან გაუსვლელად“ ..... 29
- არქივის ინვენტარიზაციის პროექტი ..... 30
- ყარსი-ახალქალაქის ფარგლებში მიწების გამოსყიდვის პროექტი..... 31
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვის პროექტი ..... 32

სააგენტოს 2015 წლის II კვარტლის საქმიანობის შეჯამება..... 33

## სააგენტოს საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო 2012 წლის 17 სექტემბერს დაფუძნდა და მისი ფუნქციაა უზრუნველყოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართლზომიერი განკარგვა, მისი მოვლა-პატრონობა და მისი საქმიანობა ორიენტირებულია ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაზე.

სააგენტოს საქმიანობა მოიცავს 3 ძირითად მიმართულებას:



ორგანიზაცია წარმოადგენს სახელმწიფოს როგორც მესაკუთრეს და მრავალფუნქციური მიდგომის საშუალებითა და სერვისების შეთავაზებით ემსახურება საზოგადოებას. სააგენტოს მომსახურება ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის საქართველოს მასშტაბით.

## სააგენტოს მისია

მომხმარებელზე ორიენტირებული ხარისხიანი სერვისების შეთავაზების გზით სახელმწიფო ქონების ეფექტური მართვა-განკარგვა.

## სტრატეგიული ამოცანები

სააგენტოს წინაშე მდგარი ყველა ძირითადი გამოწვევისა და განვითარების შესაძლებლობის გათვალისწინებით სააგენტოს მენეჯმენტის მიერ მოხდა ერთწლიან პერიოდში 6 სტრატეგიული ამოცანის დასახვა, მათი პრიორიტეტიზაცია მნიშვნელობის მიხედვით და თითოეული ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა.

**სტრატეგიული ამოცანები, რომელთა გადაჭრაზეც, სააგენტოს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს 2015 წელს:**

1. გაყიდვების პროაქტიულობის გაზრდა და სარგებლის მაქსიმიზაცია/ინტერესთა გამოხატვის მიმართულების განვითარება;
2. აღურიცხავი ქონების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და მდგომარეობის პირველადი მონიტორინგი;
3. მომსახურების ხარისხისა და სერვისის განვითარება;
4. საწარმოებიდან სარგებლის მაქსიმიზაცია (რაოდენობის ოპტიმიზაცია, ღირებულების შენარჩუნება, მომგებიანობის გაზრდა);
5. პრივატიზებულ/სარგებლობაში გადაცემულ ქონებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამოვლენის და შესაბამისი რეაგირების სისტემის განვითარება;
6. ქონების ფლობასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების გამოკვეთა და გადაჭრის გზების ძიება.

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს სააგენტოს მიერ 2015 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული ღონისძიებების შესაბამისობას, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრულ გეგმებთან, ასევე სააგენტოს ხელმძღვანელობის მიერ დასახულ ამოცანებთან.

ამოცანა N1. გაყიდვების პროაქტიულობის გაზრდა და სარგებლის მაქსიმიზაცია/ინტერესთა გამოხატვის მიმართულების განვითარება

- პრივატიზების პროცესი


საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სააგენტოში პრივატიზების ან იჯარის ფორმით განკარგვის მოთხოვნით შემოსული დაინტერესებულების რაოდენობა თბილისის მომსახურების ცენტრში სასოფლო სამეურნეო მიწის თაობაზე 305-ს შეადგენს, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის პრივატიზება/იჯარაზე მიღებული განაცხადების რაოდენობა 236-ს შეადგენს. აგრეთვე პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემის შესახებ

თბილისის მომსახურების ცენტრში შესული განაცხადების რაოდენობა შეადგენს 60-ს.

რაც შეეხება საქართველოს დანარჩენ რეგიონებში II კვარტლის განმავლობაში შესული დაინტერესებულების განაცხადების რაოდენობას, ის მოწოდებულია ცხრილის სახით.

მომსახურების ცენტრი	სასოფლო		არასასოფლო	
	I კვ.	II კვ.	I კვ.	II კვ.
ქვემო ქართლი	810	658	182	216
შიდა ქართლი	254	146	142	106
კახეთი	214	187	56	86
სამცხე-ჯავახეთი	46	110	57	72
იმერეთი	75	68	123	117
სამეგრელო	218	250	145	133
ჯამი	1617	1419	705	730

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 450 აუქციონის გამოცხადება, საიდანაც შედგა 207 აუქციონი, ჩაიშალა - 234 და 9 აუქციონი შეწყდა.



აქვე მნიშვნელოვანია ითქვას, რომ საანგარიშო პერიოდში სააგენტომ პირობიანი აუქციონის ფორმით გასაყიდად გამოიტანა ქ.თბილისში ჭანტურას ქუჩა N12-ში მდებარე შენობა, რომელშიც დღეს განთავსებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საპრივატიზებო ობიექტის საწყისი ფასი შეადგენდა **6 000 000** აშშ



დოლარს. აღნიშნული უძრავი ქონების მიმართ საკმაოდ მაღალი ინტერესი და ბიჯების უპრეცედენტო რაოდენობა დაფიქსირდა. დადებული ბიჯების რაოდენობამ 690 ბიჯი შეადგინა და საბოლოოდ ქონება **9 450 000** აშშ დოლარად გაყიდა. საპრივატიზებო პირობების მიხედვით გამარჯვებული კომპანია ვალდებულია 2016 წლის პირველი იანვრიდან 36 თვის ვადაში უზრუნველყოს არანაკლებ 100-ნომრიანი სასტუმროს შექმნა და ექსპლუატაციაში გაშვება.

გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის II კვარტალში სააგენტოს მიერ მომზადდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სოკარი ჯორჯია გაზისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ” საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი. მთავრობის განკარგულება გამოიცა 2015 წლის 23 აპრილს, რომლის თანახმად შპს „სოკარი ჯორჯია გაზის“ კომპანიას პირდაპირი მიყიდვის ფორმით **1 947 295.65** ლარად გადაეცა სახელმწიფო ქონება. საპრივატიზებო პირობების მიხედვით შპს „სოკარი ჯორჯია გაზის“ დაევალია ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრისა ხელშეკრულების დანართში მითითებულ ბუნებრივი აირის გამანაწილებელ ქსელებზე ამავე დანართით განსაზღვრული რაოდენობის აბონენტების (სულ 9 877 აბონენტის) უსასყიდლოთ მიერთება.

- სახელმწიფო ქონების განკარგვისა და პრივატიზების შედეგად შემოსული თანხების შესახებ ინფორმაცია

2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით პრივატიზებიდან გეგმით 85 000 000 ლარის მობილიზება არის გათვალისწინებული. მიმდინარე წლის 1 ივლისის მდგომარეობით 2015 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო ბიუჯეტში შესულია **136 573 128.00** ლარი - წლიური გეგმა შესრულდა 161%-ით, ხოლო მეორე კვარტლის გეგმა 525%-ით.

შემოსულობების კუთხით მეორე კვარტალში პრივატიზების გეგმის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 15 500 000 ლარის მობილიზება, რომელიც შესრულებულია 178%-ით, რაც **27 641 000** ლარს შეადგენს.

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით პრივატიზებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია კი შემდეგნაირად გამოიყურება:

პერიოდი	გეგმა სახელმწიფო ბიუჯეტში	ფაქტობრივი შემოსავალი ბიუჯეტში	%
I კვარტ.	10 500 000	63 210 460	602
II კვარტ.	15 500 000	73 362 668	473
6 თვე	26 000 000	136 573 128	525

- გაყიდვების სტიმულირება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაყიდვების სტიმულირების მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგი მიმართულებით: მაკროეკონომიკური ცვლილებების და ინფრასტრუქტურული განვითარების ანალიზი, არსებული გაყიდვების მახასიათებლების იდენტიფიკაცია, პრეზენტაციების მომზადება და კომუნიკაცია უცხოელ ინვესტორებთან, ასევე სხვადასხვა გასაყიდ ობიექტებზე მათი ვიზიტის უზრუნველყოფა.

გარდა ამისა სააგენტოში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:


- მსხვილ საპრივატიზებო ობიექტებზე წინასწარი ვიზიტი და მათი შესწავლა;
- მსხვილი ობიექტებისათვის დანიშნულების განსაზღვრა;



- უძრავი ქონების ძირითადი მახასიათებლების იდენტიფიკაცია და მათი ძირითად კატეგორიებად დაყოფა;
- პროაქტიული გაყიდვების პროცესის შემუშავება;

გაყიდვების სტიმულირების მარკეტინგული მხარდაჭერის მიზნით კი შესრულდა შემდეგი ღონისძიებები:

- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD-ის) ყოველწლიური ფორუმისთვის, რომელიც ჩატარდა ქ.თბილისში, დაიბეჭდა მსხვილი საპრივატიზებო ობიექტების სარეკლამო ბროშურა და განთავსდა ღონისძიებაზე ორგანიზებულ გამოფენაზე. ბროშურების ნაწილი ასევე განთავსდა თბილისის მომსახურების ცენტრში;
- მომზადდა პრეზენტაცია სხვა ქვეყნების სამთავრობო დელეგაციებისთვის, რომელშიც ასახული იყო მსხვილი საპრივატიზებო ქონებები და მათი მახასიათებლები;
- ბიზნესისა და ეკონომიკის სიახლეების საინფორმაციო სააგენტოს [bpi.ge](http://bpi.ge)-ს ვებ-გვერდზე განთავსდა 60 აუქციონი, რომელიც შეირჩა ბაზარზე მოთხოვნიდან გამომდინარე;
- ჩაშლილი აუქციონების ახლიდან მოცხადების და გაყიდვების სტიმულირების მიზნით შეიქმნა სარეკლამო კამპანია, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ვებ-გვერდებზე განსათავსებლად დამზადდა ფლემ-ბანერი.



## ამოცანა N2. აღურიცხავი ქონების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და მდგომარეობის პირველადი მონიტორინგი

- სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის პროექტი

2015 წლის მარტიდან სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის სრულმასშტაბიან პროექტი დაიწყო. პროექტის მიზანია სახელმწიფო ქონების აღრიცხვა და რეგისტრაცია ქვეყნის მასშტაბით. წლების განმავლობაში სახელმწიფო ქონების გარკვეული ნაწილი აღურიცხავი იყო. ინვენტარიზაციის შედეგად კი შესაძლებელი გახდება სახელმწიფო ქონების ზუსტი რაოდენობის დადგენა. აღნიშნული პროექტის მეშვეობით დაჩქარდება პრივატიზების პროცესები, რაც თავის მხრივ, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

სააგენტომ სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის საპილოტე პროექტი 2013 წლის მარტიდან დაიწყო და 2014 წლის ბოლოსთვის პროექტის ფარგლებში აღწერილი იყო თბილისის **15** უბანი და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ნაწილი. შედეგად თბილისში გამოვლინდა **625**, ხოლო გარდაბანში - **122** აღურიცხავი სახელმწიფო ობიექტი (აღმოჩენილი ობიექტების საერთო ფართობი დაახლოებით - **6,5 მლნ კვ.მ.**).

2015 წლის I კვარტლის განმავლობაში აღწერილია თბილისის **1** უბანი აღნიშნული სამუშაოების შედეგად აღმოჩენილია **33** აღურიცხავი სახელმწიფო ობიექტი, რომელთა საერთო ფართობიც შეადგენს **37 494.60** კვ.მ.-ს, რეგიონებში კი აღმოჩენილია **1 165** სახელმწიფო ობიექტი, რომელთა საერთო ფართობიც შეადგენს **64 623 716** კვ.მ. II კვარტლის განმავლობაში აღწერილია თბილისის **4** უბანი (დარჩენილია **8** უბანი) და აღნიშნული სამუშაოების შედეგად აღმოჩენილია **97** აღურიცხავი სახელმწიფო ობიექტი, რომელთა საერთო ფართობიც შეადგენს **238 461.17** კვ.მ.-ს, ხოლო რეგიონებში აღმოჩენილია **8 642** სახელმწიფო ობიექტი, რომელთა საერთო ფართობიც შეადგენს **682 126 507.8** კვ.მ.

- ❖ საანგარიშო პერიოდში ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში აღმოჩენილი ობიექტების რაოდენობა და ფართობი:

	რეგიონი	აღმოჩენილი ობიექტების რაოდენობა	აღმოჩენილი ობიექტების ფართობი
1	ქვემო ქართლი	1324	79547056
2	შიდა ქართლი	1435	130225225
3	კახეთი	1368	64219544
4	სამცხე-ჯავახეთი	2530	290236930
5	იმერეთი	423	12936385
6	სამეგრელო	1562	104961367.8
	<b>ჯამი</b>	<b>8642</b>	<b>682 126 507.8</b>

რაც შეეხება აღმოჩენილი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის საკითხს, სააგენტოს პოლიტიკიდან გამომდინარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ზედდების (საკადასტრო მონაცემების ზედდება - უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების იდენტურობა უფლებარეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებთან) შემთხვევების თავიდან ასარიდებლად, აღნიშნული პროცესი დიდი სიფრთხილით მიმდინარეობს.

2015 წლის II კვარტლის მონაცემებით, სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა თბილისში და რეგიონული მომსახურების ცენტრებში ჯამში - **1 372** ობიექტი, რომელთა საერთო ფართობიც შეადგენს **671 488 211.6** კვ.მ.-ს.

- სახელმწიფო ქონების დაცვა

შეჭრისა და გამარცხის საფრთხის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების ნაწილი საჭიროებს დაცვას. რიგ ობიექტებზე არაკანონიერად არიან შეჭრილები იძულებით გადაადგილებული და სოციალურად დაუცველი პირები. ასევე არის ისეთი ობიექტები, რომლებიც უკანონოდ აქვთ დაკავებული სამეწარმეო საქმიანობის მიზნით. არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ინვენტარიზაციის პროცესის პარალელურად აღმოჩენილი იქნება უკანონოდ დაკავებული სხვა სახელმწიფო ქონებაც.

2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით დაცვის ქვეშ მყოფი სახელმწიფო ობიექტების რაოდენობა შეადგენს 45-ს. დასაცავი ობიექტების დიდი ნაწილი განთავსებულია თბილისში და შიდა ქართლის რეგიონში. დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით მოცემულია ცხრილის სახით.


	რეგიონი	დაცვის ქვეშ მყოფი ობიექტები
1	თბილისი	16
2	შიდა-ქართლი	14
3	იმერეთი	6
4	სამეგრელო	4
5	ქვემო-ქართლი	3
6	სამცხე-ჯავახეთი	2
7	კახეთი	0

ამასთან აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ მოხდა დაცული ობიექტების სიის ფორმირება, მათი სააგენტოს ვებ-გვერდის შეთავაზებების მოდულში განთავსების მიზნით.

### ამოცანა N3. მომსახურების ხარისხისა და სერვისის განვითარება

- საინფორმაციო და დისტანციური მომსახურების ცენტრი

2015 წლის II კვარტლის მონაცემებით სააგენტოს შესაბამისმა სამსახურმა უპასუხა **6 165** ზარს, რაც 2015 წლის პირველი კვარტლის მონაცემზე **543** ზარით მეტია. ასევე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სააგენტოს თანამშრომლებმა Online chat-ის მეშვეობით **820** მომხმარებელს გაუწიეს კონსულტაცია. მოცემული სერვისის საშუალებით მომხმარებელს ეძლევა საშუალება მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის - „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფუნქციონირებს დახმარების ცენტრი, სადაც სააგენტოს წარმომადგენელი უწევს მომხმარებელს კონსულტაციას პროგრამის ფარგლებში სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

- მომსახურების ცენტრები


გასული კვარტლის განმავლობაში თბილისის მომსახურების ცენტრი მოემსახურა **8 508** მოქალაქეს. აღნიშნულ მომხმარებელთა **30.6%** -მა სააგენტოს მიმართა განცხადებით, რაც **2 605** განაცხადის ტოლია.

რაც შეეხება მომსახურების ცენტრებში განვლილი კვარტლის განმავლობაში შესული კორესპონდენციის რაოდენობას, ის **9 089** განაცხადის ტოლია, აქედან პირველადი განცხადებების რიცხვი **3 068-ს** შეადგენს. მათი განაწილება რეგიონალური მომსახურების ცენტრების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

რეგიონი	I კვარტალი		II კვარტალი	
	შემოსული კორესპონდენცია	პირველადი განაცხადი	შემოსული კორესპონდენცია	პირველადი განაცხადი
ქვემო ქართლი	2769	1207	2978	1226
შიდა ქართლი	1224	410	1330	398
კახეთი	865	305	1031	279
სამცხე-ჯავახეთი	503	179	793	339
იმერეთი	1201	369	1371	482
სამეგრელო	1271	386	1586	344
ჯამი	7833	2856	9089	3068

• სააგენტოს ვებ-გვერდი

2014 წლის მარტიდან მოქმედებს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდი [www.nasp.gov.ge](http://www.nasp.gov.ge), რომლის მეშვეობით ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს მიიღოს სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია.



საანგარიშო პერიოდში მთლიანობაში სააგენტოს ვებ-გვერდს 29 684 მოქალაქე ესტუმრა, საიდანაც უნიკალური (ახალი) ვიზიტორების რაოდენობა შეადგენდა 14 630-ს, ხოლო დაბრუნებული ვიზიტორების რაოდენობა 15 054-ს. ვიზიტორთა 91%-ს შეადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირები, დანარჩენი 9% -ს კი სხვადასხვა ქვეყნებში მყოფი მოქალაქეები.


მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ვებ-გვერდის ვიზიტორების დიდი ნაწილის ინტერესი გამოიწვია გასულ კვარტალში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შენობის გაყიდვის შესახებ აუქციონის გამოცხადებამ.

სააგენტოს ვებ-გვერდზე დაინერგა ვებ-ბანერების მოდული, სადაც გაჩნდა შესაძლებლობა განთავსდეს სტაციონარული და ფლემ-ბანერები. საანგარიშო პერიოდში მსხვილი საპრივატიზებო ობიექტების სტიმულირების მიზნით ვებ-გვერდზე განთავსდა 4 ასეთი ვებ-ბანერი. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა რამდენიმე საკომუნიკაციო ელ-ფოსტის მისამართის კონსოლიდირება, კერძოდ, ელექტრონულ ფოსტაზე [Service@nasp.gov.ge](mailto:Service@nasp.gov.ge) და [Publicinfo@nasp.gov.ge](mailto:Publicinfo@nasp.gov.ge) შემოსული წერილები გადამისამართდა [Info@nasp.gov.ge](mailto:Info@nasp.gov.ge) -ზე, შესაბამისად ვებ-გვერდზე მითითებული იქნა სააგენტოსთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით კომუნიკაციის მხოლოდ ერთი მისამართი [Info@nasp.gov.ge](mailto:Info@nasp.gov.ge) - რაც მომხმარებელს გაუადვილებს სააგენტოსთან წერილობითი კომუნიკაციის შესაძლებლობას.

- მედია მონიტორინგი**

სააგენტოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის და ცნობადობის დონის ამაღლება. ამ კუთხით სააგენტო აქტიურად არის ჩართული მედია კომუნიკაციის სფეროში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მსხვილი ობიექტების პრივატიზების შესახებ მომზადდა სტატიები, სადაც ასახული იყო მოსალოდნელი ინვესტიციების შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ობიექტის მნიშვნელობისა და საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შენობის გაყიდვის შესახებ სააგენტომ გამართა ბრიფინგი, სადაც ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ ამომწურავი პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე.

მეორე კვარტლის მონაცემებით, სააგენტოს შესახებ ძირითადად ინტერნეტ გამოცემები წერდნენ, საიდანაც შინაარსობრივად ყველაზე მეტი ინფორმაციული ტიპის სტატია იყო. სააგენტოს შესახებ გავრცელებული ინფორმაციის შინაარსის სტატისტიკა მოცემულია ცხრილის სახით.



- მომსახურების ხარისხის შეფასება**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა მომსახურების კმაყოფილების კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასება და მომსახურებისას წარმოშობილი პრობლემების გამოვლენა. რაც საბოლოო ჯამში, მომსახურების ხარისხთან მიმართებაში ცვლილებების დროული განსაზღვრის საშუალებას წარმოადგენს.





კვლევის ფარგლებში განხორციელდა სააგენტოს მომხმარებელთა სატელეფონო გამოკითხვა. სულ კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 558 რესპონდენტი თბილისსა და რეგიონებში.



გარდა ზემოაღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში დაინერგა სააგენტოს მომსახურების ხარისხის შესახებ ინფორმაციის მიღების კიდევ ერთი საშუალება. კერძოდ, რეგიონალური მომსახურების ცენტრებისთვის დამზადდა სპეციალური სტენდები - „მომხმარებლის ხმა“. მომხმარებელს ეძლევა საშუალება დააფიქსიროს თავისი მოსაზრება მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით. შევსებული განაცხადი ინახება სტენდში ჩაშენებულ მინის ყუთში. ამ გზით შესაძლებელი იქნება სააგენტოს

თანამშრომელთა მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიღება უშუალოდ მომხმარებლისგან.

#### • პროცესების დოკუმენტირება

სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის ეფექტურობისა მიზნით მიზანშეწონილია ორგანიზაციის მიერ რეგულარულად განხორციელებული პროცესების დოკუმენტირება. შესაბამისად სააგენტოს მიერ მოხდა ცალკეული ბიზნეს პროცესების ანალიზი და შესაბამისი კორექტირება. აგრეთვე მოხდა რამდენიმე ახალი ბიზნეს-პროცესების აღწერა, ესენია:

- პროაქტიული გაყიდვების პროცესი;
- მომსახურების ხარისხის ჯგუფის სამუშაო პროცესი;
- სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი.

ასევე აქტიურად მიმდინარეობა მუშაობა ერთიანი სტანდარტების დანერგვის მიმართულებით.

- სააგენტოს სერვისების დელეგირება იუსტიციის სახლებში

სააგენტოს უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს იყოს ხელმისაწვდომი და მოქალაქეებს შესთავაზოს სწრაფი და ეფექტური მომსახურება ქვეყნის მასშტაბით. ამ მიზნის მისაღწევად წლის დასაწყისში სააგენტომ - სსიპ „იუსტიციის სახლთან“ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სერვისების დელეგირების თაობაზე (იუსტიციის სახლის ერთ ფილიალში სააგენტოს სერვისების დელეგირების თაობაზე). რის საფუძველზეც საპილოტე რეჟიმში 2015 წლის იანვრის ბოლოდან ხორციელდება სააგენტოს სერვისების მიწოდება იუსტიციის სახლის მარნეულის ფილიალში. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ზემოთხსენებული მემორანდუმის მოქმედების ვადის 3 თვით გაგრძელება.

ასევე სამომავლოდ იუსტიციის სახლების სხვა ფილიალებში სააგენტოს სერვისების დელეგირების მიზნით მოხდა საჭიროებების განსაზღვრა, ასევე შემუშავდა ტრენინგის გეგმა/გრაფიკი. აქვე აღსანიშნავია, რომ უკვე განხორციელდა იუსტიციის სახლის სამი ფილიალის (ყვარელი, გურჯაანი, თელავი) თანამშრომელთა დატრენინგება სააგენტოს კომპენტიციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

- სააგენტოს ვებ-პორტალი

სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ელექტრონული პორტალის შექმნისა და გაშვების პროცესის უზრუნველყოფა. ამ მხრივ მიმდინარე წლის II კვარტლის განმავლობაში პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებაში ჩართულ თანამშრომლებისათვის ჩატარდა პორტალის სარგებლობის ტრენინგი/ინსტრუქტაჟი, რის შემდგომაც დაიწყო პორტალის ტესტირების ეტაპი.

ტესტირების პროცესში გამოვლენილი ხარვეზებისა და ნაკლოვანების შესახებ ინფორმაცია და პროგრამული უზრუნველყოფის ოპტიმიზაციის შესახებ წინადადებები რეგულარულად მიეწოდებოდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე მომუშავე თანამშრომელთა ჯგუფს. ამ უკანასკნელთა მიერ კი ხორციელდებოდა შესაბამისი ცვლილებების შეტანა პროგრამულ უზრუნველყოფაში. შესაბამისად სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთობლივი

ძალისხმევით მიმდინარეობდა ხარვეზების აღმოფხვრა და პორტალის მაქსიმალურად ოპტიმალური ვერსიის დანერგვის პროცესზე მუშაობა.

- **უწყებათაშორისი კომუნიკაციის გაუმჯობესებისათვის გატარებული ღონისძიებები**

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო თავის საქმიანობის განხორციელების პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა საჯარო თუ კერძო უწყებებთან და სახელმწიფო ქონების მართვა/განკარგვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს ამ უწყებებიდან მიღებულ მოსაზრებას ან/და თანხმობას. სხვადასხვა უწყებებიდან კორესპონდენციის დროული მიღება კი მნიშვნელოვნად დააჩქარებს პრივატიზების, მათ შორის საინვესტიციო პროექტების განხორციელების პროცესებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის დასაწყისში სააგენტომ და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ დაიწყო ერთობლივი მუშაობა კონსოლიდირებული რეაგირების პორტალის (CRP) დანერგვაზე, რომელიც მნიშვნელოვნად დააჩქარებდა და გაამარტივებდა სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სტრუქტურებთან ინფორმაციის გაცვლის სისტემას.

2015 წლის I კვარტლის განმავლობაში პორტალში ჩაერთო **40-მდე** კერძო და სახელმწიფო ორგანიზაცია, ხოლო მეორე კვარტალში მათ რიცხს დაემატა **22** სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო. შესაბამისად, სააგენტოს შესაძლებლობა მიეცა მარტივი და ეფექტური კონტროლის მექანიზმებით ქონდეს კავშირი ყველა საჭირო სახელმწიფო უწყებასთან, სახელმწიფო საწარმოებთან ან/და კერძო ბიზნეს კომპანიებთან, მათ შორის მათთან, ვინც არ არის ჩართული ელექტრონული კორესპონდენციის სისტემაში. უახლოვეს მომავალში იგეგმება კიდევ **13** სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ჩართვა პორტალში.

- მომსახურების ხარისხის მართვის ჯგუფი


სააგენტოს ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა მომსახურების ხარისხის ამაღლება, მომსახურების ცენტრებში მომსახურების ერთიანი სტანდარტის დანერგვა, სერვისების დივერსიფიკაცია და დანერგვა, ასევე სააგენტოს ბიზნეს პროცესების შესაბამისობაში მოყვანა. ამ მიმართულებით 2015 წლის მეორე კვარტალში დასრულდა მომსახურების ხარისხის ჯგუფის ჩამოყალიბების პროცესი.

- ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის უზრუნველყოფა

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო“- ში საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის მთლიანობაში დასაქმებულია **292** თანამშრომელი.

შტატში	შტატგარეშე	მოვალეობის შემსრულებელი	გამოსაცდელი ვადით
207	85	4	3

❖ გენდერული ბალანსი სააგენტოს თანამშრომლებს შორის:



ამოცანა N4. საწარმოებიდან სარგებლის მაქსიმიზაცია (რაოდენობის ოპტიმიზაცია, ღირებულების შენარჩუნება, მომგებიანობის გაზრდა)

- კოორდინაციის გაუმჯობესება სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებაში და კონტროლის მექანიზმის სრულყოფა

საანგარიშო პერიოდის ბოლოს სააგენტოს მართვის ქვეშ იმყოფება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 242 საწარმო. გარდა ამისა სააგენტო ახორციელებს იმ საწარმოთა (75 საწარმო) სრული ფინანსური და ქონებრივი სახის ინფორმაციის მოპოვებას, რომელზეც საუბარი იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2014 წლის დასკვნაში. დღეის მდგომარეობით არსებული სახელმწიფო საწარმოებიდან ეკონომიკურ საქმიანობას 68 საწარმო ეწევა, დანარჩენი კი მიეკუთვნება არამომგებიანი საწარმოთა რიცხვს. უკანასკნელთან მიმართებით სააგენტო იყენებს მინიმიზაციის პოლიტიკას, რაც გულისხმობს მათი ლიკვიდაციას, გაკოტრების ან რეორგანიზაციის გზით.

მეორე კვარტალში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მართვისა და კოორდინაციის სისტემის სრულყოფის მიმართულებით გრძელდებოდა აქტიური მუშაობა. ამ პერიოდში მოხდა საწარმოებიდან 3 თვის ფინანსური შედეგების მიღება, მათი ანალიზი და ცალკეულ შემთხვევებში ანგარიშგების კორექცია. ასევე საწარმოთა მიერ მოწოდებული ბიზნეს-გეგმებიდან მეორე კვარტალში დამტკიცდა 14 ბიზნეს გეგმა.

ასევე მიმდინარეობდა აქტივების ინვენტარიზაციისა და გადაფასებასთან დაკავშირებული პროცესები და ამ პროცესების დასრულება. რაც, საბოლოო ჯამში, საშუალებას მოგვცემს ზუსტად შეფასდეს სააგენტოს ხელთ არსებული აქტივები და გააადვილებს საწარმოთა განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

საანგარიშო პერიოდში ინვენტარიზაციისა და გადაფასების პროცესის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შეირჩა 12 საწარმო, რომელთა პრივატიზებაც შესაძლებელი იქნება 2015 წლის III კვარტალში;
- გაანალიზდა სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში 2014 წლის ფინანსური ანგარიშგება და შეფასდა ამ საწარმოთა ეფექტიანობა.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული 10 უმსხვილესი საწარმოდან საანგარიშო პერიოდში სააგენტომ მოითხოვა წლიური ანგარიშების გამოქვეყნება მათსავე ვებ-გვერდებზე. აგრეთვე აღნიშნულ საწარმოებს დაევალით ანგარიშების სააგენტოსთვის მიწოდება ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.nasp.gov.ge](http://www.nasp.gov.ge) -ზე განსათავსებლად.

• **ოპტიმიზაცია-მინიმიზაციის პროცესის მიმდინარეობა**

სააგენტო ახორციელებს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების რაოდენობის ოპტიმიზაციის პროცესს, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული არამომგებიანი საწარმოების რაოდენობის შემცირებას.

II კვარტლის განმავლობაში სააგენტოს რეგიონალურ მომსახურების ცენტრებს დაეგზავნათ მათ რეგიონში არსებული საწარმოთა ნუსხა და მოეთხოვათ აღნიშნული კომპანიების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის კვარტალში ერთხელ მოწოდება. მომსახურების ცენტრებთან აქტიური კოორდინაციის შედეგად, დადგინდა არაერთი საწარმოს ქონებრივი მდგომარეობა და მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად განხორციელდა, არამომგებიანი საწარმოების გაკოტრების თაობაზე განცხადების სასამართლოში შეტანა.

საანგარიშო პერიოდში უმოქმედო და არამომგებიან საწარმოთა რაოდენობის მინიმიზაციის მიმართულებით სააგენტოს მიერ განხორციელდა შემდეგი ქმედებები:

❖ **2015 წლის I ნახევარში გაკოტრებული საწარმოების რიცხვი:**

პერიოდი	თბილისი	რეგიონები
I კვარტალი	6	19
II კვარტალი	2	11
<b>ჯამურად</b>	<b>8</b>	<b>30</b>

❖ **2015 წლის I ნახევარში მართვის უფლებით გადაცემული საწარმოების რაოდენობა:**

პერიოდი	თბილისი	რეგიონები
I კვარტალი	0	1
II კვარტალი	1	0

ჯამურად	1	1
---------	---	---

❖ 2015 წლის I ნახევარში შერწყმული საწარმოების რაოდენობა:

პერიოდი	თბილისი	რეგიონები
I კვარტალი	0	0
II კვარტალი	3	4
ჯამურად	3	4

❖ 2015 წლის II კვარტალის ბოლოსთვის გაკოტრების პროცესში მყოფი საწარმოების რაოდენობა:

თბილისი	რეგიონები
4	16

• სააგენტოს ვალდებულებები ეროვნული ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ანტიკორუფციული საბჭოს მუდმივი წევრია და ჩართული იყო 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

სამოქმედო გეგმაში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ორი ვალდებულებით არის წარმოდგენილი. ერთ-ერთი ვალდებულება ეხება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს და ითვალისწინებს ამ საწარმოებში კეთილსინდისიერებისა და ანტიკორუფციული პროგრამების იმპლემენტირებას, მეორე კი საპრივატიზებო ობიექტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველყოფას.

საანგარიშო პერიოდში ანტიკორუფციულ საბჭოს წარედგინა სააგენტოს მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ 2015 წლის პირველი 6 თვის ანგარიში. ამ პერიოდისათვის დაგეგმილ აქტივობათა უმრავლესობა სრულად შესრულდა განსაზღვრულ ვადაში, კერძოდ:



- საწარმოებში ანგარიშგების ახალი სისტემების დანერგვის მიზნით შემუშავდა ანგარიშგების ახალი ფორმები, რომელიც შეიცავს როგორც ფინანსურ, ასევე ბიზნესის შესახებ ინფორმაციას.
- ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო 2015 წლის პირველ ნახევარში მინიმუმ 10 საწარმოს ლიკვიდაცია, ხოლო რეალურად, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოები შემცირდა **38** საწარმოთი.
- ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიმართულებით, 2015 წლის პირველ ნახევარში 1000-მდე სოფელში სასოფლო სამეურნეო მიწების იჯარის 388 აუქციონთან დაკავშირებით გავრცელდა **129 280** ცალი სარეკლამო ბუკლეტი.
- განხორციელდა ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ელექტრონული პორტალის პრივატიზების დეპარტამენტის მოდულის სატესტო ვერსიის გაშვება, ხოლო მისი რეალურ რეჟიმში დანერგვა და გაშვება სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია მიმდინარე წლის მეორე ნახევარში.
- სამოქმედო გეგმა 2015 წლის I ნახევრისთვის ითვალისწინებდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მმართველი რგოლისთვის ანტიკორუფციულ საკითხებზე ტრენინგების ორგანიზებას. ამ მიმართულებით გეგმა შესრულდა ნაწილობრივ, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრენინგისათვის საჭირო ყველა მასალა მომზადებულია და ტრენინგის ორგანიზება იგეგმება მიმდინარე წლის ივლისის თვეში.



ამოცანა N5. პრივატიზებულ/გადაცემულ ქონებაზე შეუსრულებელი ვალდებულებების გამოვლენის და რეაგირების სისტემის განვითარება

- შეუსრულებელი ვალდებულებების გამოვლენა და რეაგირება

2015 წლის I კვარტლის განმავლობაში განხორციელდა 15 კონტრაქტის გათავისუფლება დაკისრებული პირგასამტეხლოსგან, ხოლო მეორე კვარტალში კი დამატებით მოხდა 16 კონტრაქტის გათავისუფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სააგენტო მის ხელთ არსებული ყველა შესაძლო ინსტრუმენტით ცდილობს წვლილი შეიტანოს ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისა და საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების პროცესში.

**ამოცანა N6. ქონების ფლობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება**

**• ზედდების საკითხების განმხილველი კომისიის საქმიანობა**

სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2012 წლის 16 ოქტომბრის №1/1-90 ბრძანებით შექმნილი კომისია სისტემატურად განიხილავს მიწის მიკუთვნებისა და საკუთრების ზედდების თაობაზე სააგენტოში შემოსულ საკითხებს. 2015 წლის პირველ ნახევარში ჩაატარდა 11 სხდომა, რომლებზეც სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაფიქსირებული ზედდების გაუქმების და მიწის არსებით შემადგენელ ნაწილზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის განსაზღვრასთან დაკავშირებული 186 საკითხზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება. აქედან:

- ✓ განმცხადებლისთვის დადებითად გადაწყდა - 96 საკითხი.
- ✓ განმცხადებლისთვის უარყოფითად გადაწყდა - 90 საკითხი.

**• სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვა**

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს უმნიშვნელოვანეს საზრუნავს წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მართლზომიერი განკარგვა. ამ მხრივ გასული კვარტლის განმავლობაში შემდეგი სამუშაოები იქნა ჩატარებული:

❖ სახელმწიფო უწყებებზე/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე გადაცემული უძრავი ქონება - 83 ობიექტი.

I კვარტალი	II კვარტალი	ჯამური მონაცემი
166	83	249

❖ აქედან მეორე კვარტალში სახელმწიფო უწყებებისათვის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

	რეგიონი	რაოდენობა	კვ.მ.
1	ქვემო ქართლი	4	671,341
2	შიდა ქართლი	3	1564.42
3	კახეთი	37	484252.1
4	სამცხე-ჯავახეთი	4	5863.6
5	იმერეთი	5	11552,5
6	სამეგრელო	4	38683

❖ თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემული უძრავი ქონება - **296** ობიექტი.

I კვარტალი	II კვარტალი	ჯამური მონაცემი
265	296	561

❖ აქედან თვითმმართველი ერთეულებისთვის გადაცემული სახელმწიფო ქონება რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

	რეგიონი	რაოდენობა	კვ.მ.
1	ქვემო ქართლი	21	108070,61
2	შიდა ქართლი	31	1808672,27
3	კახეთი	42	98639
4	სამცხე-ჯავახეთი	12	466389
5	იმერეთი	45	105919,6
6	სამეგრელო	45	348126

❖ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გაცემული თანხმობა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციაზე - **381**.

I კვარტალი	II კვარტალი	ჯამური მონაცემი
132	381	513

❖ საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 1 226 უძრავი ქონება გადასცა იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს. გადაცემული უძრავი ქონება ჯამში 51781.85 კვ.მ.-ს შეადგენს.

	I კვარტალი	II კვარტალი
ობიექტების რაოდენობა	449	1226
ობიექტების ფართობი	23188.65	51781.85

• სახელმწიფო ქონების დაბრუნება

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 მაისის N 1044 განკარგულების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაევალა კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილების ან პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართვით შესაბამისი ზიანის კომპენსირების მიზნით განახორციელოს სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად პრივატიზების ინიცირება იმ პირებისათვის, რომელთა მიერაც განხორციელდა სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების იძულებით დათმობა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პროკურატურამ ქონების იძულებით ჩამორთმევის 5 ფაქტზე გამოძიება დაასრულა, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდა 4 დაზარალებული



მოქალაქისთვის დარღვეული უფლებების აღდგენა. კერძოდ მთავრობის განკარგულებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ეთხოვა პროკურატურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე განკარგულების პროექტის

მომზადება მთავრობაზე წარსადგენად, რის შემდეგაც განხორციელდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (4 ავტომობილი) დაზარალებულთათვის გამარტივებული წესით დაბრუნება.

## სააგენტოში მიმდინარე პროექტები

- სააგენტოს მონაწილეობა სამთავრობო პროგრამაში - „აწარმოე საქართველოში.“



სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მონაწილეობს მთავრობის ინიციატივით შემუშავებულ პროგრამაში „აწარმოე საქართველოში.“ სააგენტოს ჩართულობა ვლინდება ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის კომპონენტში და ამისათვის საქართველოს მასშტაბით შეირჩა საწარმოო საქმიანობისათვის განკუთვნილი 110 ობიექტი. აგრეთვე

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში პროგრამის ობიექტების ნუსხას დაემატა კიდევ 12 ობიექტი, რომელთა შესახებ ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ვებ-გვერდზეც.

2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით პროგრამის ფარგლებში სულ გადაცემულია **11 911 765** ლარის ჯამური ღირებულების **45** უძრავი ქონება. მოსალოდნელი ინვესტიციების ოდენობა შეადგენს **58 493 708** ლარს.

- პროექტი „სოფლიდან გაუსვლელად“

სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით სააგენტოში მიმდინარეობს პროექტი „სოფლიდან გაუსვლელად“.



პროექტი ხელს უწყობს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციას რეგიონებში და შესაბამისად ლოკალურ დონეზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების ეფექტურ განკარგვას.

პროექტის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, ადგილობრივი ფერმერები, მიწათმოქმედები და მეწარმეები.

პროექტის ფარგლებში განახლდა სარეკლამო ბუკლეტების დიზაინი, რომელიც ურიგდება სოფლად მოსახლეობას. საანგარიშო პერიოდში საქართველოს რეგიონებში 315 აუქციონის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია და გავრცელებული ბუკლეტების რაოდენობამ შეადგინა **40 100** ცალი.

აგრეთვე სასოფლო სამეურნეო მიწების იჯარის უფლებით გადაცემის სტიმულირების მიზნით, ამ პერიოდში გამოცხადებული აუქციონების ყველა ბმული გავრცელდა ფერმერთა ასოციაციაში, სადაც გაწევრიანებულია 1000-ზე მეტი სხვადასხვა დარგის ფერმერი.

- **არქივის ინვენტარიზაციის პროექტი**



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 25 ნოემბრის N 1-1/336 ბრძანების საფუძველზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მართვაში გადაეცა სამინისტროს არქივი და პასუხისმგებელია მის დამუშავებასა და ციფრულ ფორმატში გადაყვანაზე. სამინისტროს არქივი მოიცავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 1936 წლიდან იმ ლიკვიდირებული სამინისტროების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ დოკუმენტებს, რომელთა სამართალმემკვიდრესაც წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს ეროვნულ არქივს შორის საარქივო მომსახურებაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიზანია ერთიანი, დაზუსტებული ელექტრონული არქივის სისტემის შექმნა, მიმდინარეობს სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დოკუმენტური არქივის ელექტრონიზაცია და სისტემატიზაცია. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2015 წლის I ნახევარში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- ტექნიკურად დამუშავებული საარქივო დოკუმენტაციის რაოდენობა შეადგენს - **7 250** საქმე;
- დასკანერებული საარქივო დოკუმენტაცია - **14 606** საქმე;
- საარქივო დოკუმენტაციის პროგრამული უზრუნველყოფა - **283** საქმე.

- **ყარსი-ახალქალაქის ფარგლებში მიწების გამოსყიდვის პროექტი**

ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის შეუფერხებელი მიმდინარეობისათვის აუცილებელი გახდა აღნიშნულ რეგიონში კერძო საკუთრებაში არსებული და ამავდროულად პროექტისათვის აუცილებელი მიწების გამოსყიდვა. საკითხის ეფექტურად გადაწყვეტისათვის მოცემული პროცესი ჩამოყალიბდა პროექტის სახით, რომლის ფარგლებშიც 2014 წელს ჯამურად გაიხარჯა 230712,60 ლარი. გასულ წელს სახელმწიფომ გამოსყიდა 40 ობიექტი, რომელთა სანაცვლოდაც კერძო მესაკუთრეებს გადაერიცხათ 201082,60 ლარი. პროექტი დასასრულს მიუახლოვდა და მცირედი გამონაკლისების გარდა, რომელთა რაოდენობაც საერთო სიმრავლის 5%-ს შეადგენს, ყველა საჭირო ობიექტი იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მარაბდა-კარწახის მიმართულებით თურქეთის საზღვრამდე სამშენებლო დერეფანში მოქცეული კერძო საკუთრებაში არსებული მიწის გამოსყიდვასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა, რის საფუძველზეც ააიპ „მიწის მესაკუთრეთა ასოციაციასთან“ გაფორმდა ხელშეკრულება 19 900 ლარზე, რომელიც იკვლევს კერძო საკუთრებაში არსებული გამოსასყიდი ნაკვეთების რაოდენობის დადგენას. 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება და საკომპენსაციო თანხის გადახდა განხორციელდა ორ პიროვნებაზე, რომლის ღირებულება შეადგენს **10 165** ლარს.



- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვის პროექტი

2014 წლის ბოლოს საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფთან“ გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე „სინერჯი ჯგუფი“ სააგენტოსთან ერთად შეიმუშავეს ორგანიზაციის 2015-2018 წლების სტრატეგიულ გეგმას, ასევე ერთობლივად გამოავლენს სააგენტოს ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი ხარვეზებს, მოამზადებს რეკომენდაციებს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.



2015 წლის I კვარტალში სააგენტოს ხელმძღვანელობის მიერ განისაზღვრა 6 სტრატეგიული ამოცანა და ამოცანების შესასრულებლად დაიგეგმა კონკრეტული ღონისძიებები. შემდგომ სინერჯი ჯგუფთან განხორციელდა 2015 წლის სამოქმედო გეგმების შემუშავება. შემუშავებული გეგმების საფუძველზე ყოველი კვარტლის ბოლოს სააგენტოს სტრუქტურულმა ერთეულებმა უნდა წარმოადგინონ გეგმის შესრულების ანგარიში. რაც თავის მხრივ სააგენტოს მისცემს შესაძლებლობას სტრატეგიული ამოცანების შესრულების კონტროლი და შეფასება განახორციელოს.



## სააგენტოს 2015 წლის II კვარტლის საქმიანობის შეჯამება

2015 წლის II კვარტლის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ განვლილმა საანგარიშო პერიოდმა სააგენტოსათვის პროდუქტიულად ჩაიარა. იმ ძირითადი მიმართულებებით, რა კუთხითაც სააგენტო აქტიურად ცდილობს განვითარდეს, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული და სააგენტოს სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას სტრატეგიული ამოცანების შესაბამისი მიმართულებით ახორციელებდნენ.

საანგარიშო პერიოდში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა გაყიდვების პროაქტიულობის გაზრდის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ გაყიდვების სამსახური სრულად საანგარიშო პერიოდში იქნა დაკომპლექტებული, აღნიშნული სამსახურის მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული გაყიდვების სტიმულირების კუთხით.

გასულ კვარტალში, ასევე აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში. სახელმწიფო ქონების ეფექტურად მართვა შეუძლებელია მისი სრულად აღრიცხვისა და შეფასების გარეშე და ამ მხრივ, ინვენტარიზაციის პროექტი წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ ზუსტი სურათის განსაზღვრის კუთხით. პროექტის წარმატებით დასრულება ხელს შეუწყობს სახელმწიფო ქონების რაციონალური განკარგვის უზრუნველყოფას.

საანგარიშო პერიოდში მუშაობა მიმდინარეობდა სახელმწიფო ქონების დაცვის ღონისძიებების განხორციელების მიმართულებითაც.

აგრეთვე უწყვეტად მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა მინიმიზაცია-ოპტიმიზაციის კუთხით და ამ მიმართულებით პროგრესი აშკარაა, თუმცა, სააგენტოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად კვლავ რჩება აღნიშნული საკითხის აღმოფხვრა. შესაბამისად, ამ მხრივ მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება.

მიმდინარე წლის I და II კვარტლის მონაცემების შეჯერების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სააგენტოს მნიშვნელოვანი ნაბიჯებს დგამს სერვისულ ორგანიზაციად ტრანსფორმაციის კუთხით. წარმატებულად შეიძლება შეფასდეს მომსახურების გაუმჯობესების მიზნით

განხორციელებული აქტივობები. სააგენტო ორიენტირებულია მომხმარებელთა აზრის შეფასების გზით მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

მიმდინარე წლის II კვარტლის ანგარიშის შეჯამების შედეგად ნათელია, რომ სააგენტოს საქმიანობა მიმართულია დასახული სტრატეგიული ამოცანების წარმატებით შესრულებისაკენ.